



საქართველო

ქარელის მუნიციპალიტეტი

ქარელში და დაბა აგარაში საკანალიზაციო ქსელის
მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე ელექტრონული
ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია

CPV 45200000

446460

ქარელი

2014წ

სარჩევი

1.საკვალიფიკაციო და ტექნიკური მოთხოვნები -----	3
2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი-----	4
3. დამატებითი ინფორმაცია-----	7
4. დანართი N 1 -----	8
5. დანართი N 2 -----	9

ინფორმაცია ტენდერში მონაწილეთათვის

1. ინფორმაცია ტენდერში მონაწილეთათვის:

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ”, “სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დებულებისა და “სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის” შესაბამისად. იხ. <http://procurement.gov.ge/>

1. საკვალიფიკაციო და ტექნიკური მოთხოვნები

1.1. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს:

- ა) დანართი N1-ის მიხედვით: რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი.
- ბ) დანართი N2-ის მიხედვით: შესასრულებელი სამუშაოების ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა).
- გ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია დასრულებული საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოების შესრულების შესახებ 2012 წლიდან ტენდერის გამოცხადების დღემდე რაზეც სისტემაში ატვირთული უნდა იყოს შესაბამისი ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები, (ფაქტიურად შესრულებული ერთი ვალდებულების ჯამური ღირებულება უნდა იყოს არანაკლებ 230 000 ლარისა) .
- დ) გეგმა-გრაფიკი (წარმოდგენილი უნდა იყოს ათ დღეების მიხედვით)
- ე) 2012 წლიდან ტენდერის გამოცხადების დღემდე საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოების შესახებ დამკვეთების მიერ მიცემული მინიმუმ ერთი დადებითი რეკომენდაცია (აღებული ვალდებულება უნდა იყოს სრულყოფილად და დროულად შესრულებული)
- ვ) პრეტენდენტმა უნდა გააჩნდეს მატერიალურ ტექნიკური ბაზა რის შესახებაც უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია შესასრულებელი სამუშაოებისათვის საჭირო სპეც ტექნიკა საკუთრებაში ან დროებით სარგებლობაში მყოფი მატერიალურ ტექნიკური ბაზის შესახებ

1.2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1.2.1 როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

- ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.
- ბ) საჯარო რეესტრიდან ცნობა იურიდიული პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ.
- გ) ცნობა ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ

1.2.2 ფიზიკური პირებისათვის: პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი

1.3. ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულ უნდა იყოს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის” მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში – საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყებამდე არა უგვიანეს ოცდაათი დღისა

1.4. ამ პუნქტის 1.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული, ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, წარმოდგენილი უნდა

იყოს კანონის შესაბამისად, არარეზიდენტი პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემ(ებ)ის დამადასტურებელ დოკუმენტ(ებ)ს, თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

1.5. პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი ამ პუნქტის 1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემები ელექტრონულ სისტემაში უნდა აიტვირთოს ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად.

1.6. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.

1.7. ანგარიშსწორების პირობები: ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით ლარში.

1.8. შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის მიღება ფორმდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის წარმოდგენის შემდეგ და შემსყიდველსა და მიმწოდებლის კომისიის დასკვნის და საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით დადასტურებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

1.10. დაფინანსების წყაროა ადგილობრივი ბიუჯეტი.

1.11. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება: შესასრულებელია ქარელში და დაბა აგარაში საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოები (იხილეთ დანართი დეფექტური აქტი)

1.12. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო ან სადაზღვევო გარანტია სახელშეკრულებო ღირებულების **2%-ის ოდენობით**, აღნიშნული საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე. საბანკო ან სადაზღვევო გარანტიის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

1.13. განსაკუთრებული პირობები:

1.13.1. პრეტენდენტის მიერ სავარაუდო ღირებულებაზე მინიმუმ 20%-ით დაბალი ფასის დაფიქსირებისას, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს გამარჯვებულ მიმწოდებელს მოსთხოვოს ხელშეკრულების შესრულების გაზრდილი გარანტია 2%-დან 10%-მდე ოდენობით.

1.13.2. პრეტენდენტის მიერ სავარაუდო ღირებულებაზე მინიმუმ 20%-ით დაბალი ფასის დაფიქსირებისას, გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ამ ფასებით შედგენილ ხარჯთაღრიცხვაზე ექსპერტიზის დასკვნა.

1.13.3. მიმწოდებელი უნდა იძლეოდეს გარანტიას, 2 წლის განმავლობაში გამოვლენილი დეფექტი და ნაკლი აღმოფხვრას საკუთარი სახსრებით

1.13.4. სუბკონტრაქტორები არ გამოიყენება (პრეტენდენტმა უშუალოდ უნდა შეასრულოს სამუშაო)

1.14. მიწოდების პირობები და ვადები:

სამუშაოები უნდა დასრულდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს **60**კალენდარულ დღეში.

2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობები დაზუსტდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად.)

ქ. ქარელი

----- 2014 წელი

ვხელმძღვანელობთ, რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე ერთის მხრივ ქარელის მუნიციპალიტეტი(შემდგომში შემსყიდველი), მუნიციპალიტეტის გამგებლის ზაზა გულიაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ----- (შემდგომში მიმწოდებელი) სახით, იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა ელექტრონული ტენდერი (SPA14000000) ქარელში და დაბა აგარაში საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე; (CPV45200000) რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება შემდეგ თანხაზე () ლარი (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება)

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ქარელში და დაბა აგარაში საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოები (დანართი დეფექტური აქტის მიხედვით)

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს () ლარს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ **2 წლის** განმავლობაში გამოვლენილ დეფექტს და ნაკლს აღმოფხვრის საკუთარი სახსრებით, და შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2014 წლის -----.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის მიღება ფორმდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის წარმოდგენის შემდეგ და შემსყიდველს კომისიის დასკვნის და საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით დადასტურებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5,3 ავანსი არ გამოიყენება.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით (ლარებში).

6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების მეშვეობით.

6.4. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.1. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

6.5. არ გამოიყენება წინასწარი ანგარიშსწორება

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პასუხისმგებლობის გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით. თუ ვადაგადაცილებით დაკისრებული ტანხის ოდენობა მიაღწევს ხელშეკრულების ღირებულების 5% მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.6 შესყიდვის განხორციელებისას პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვროს მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებელი ნაწილის 120%-ით.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება

ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და სამხარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწვეს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

12.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას დამკვეთის მხრიდან განახორციელებს ქარელის მუიციპალიტეტის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახური.

12.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილ ნებისმიერ ნაკლის ან დეფექტისშესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

12.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებულ ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. სხვა პირობები

13.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები შემსყიდველი:
მიმწოდებელი:

3. დამატებითი ინფორმაცია:

3.1 დამატებით სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. ქარეილი ნინოშვილის ქ#3. საკონტაქტო პირი:გია მსხალაძე ტელ: 591 30 22 40 ;

დანართი 1

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი:

ხელის მოწერა -----

ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა)

#	სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი
1					
2					
3					
სულ ჯამი					
ზედნადები ხარჯი%					
სულ ჯამი					
გეგმიური დაროვება %					
სულ ჯამი					
დღგ					
სულ ჯამი					

შენიშვნა: სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის გათვალისწინებით.

პრეტენდენტის დასახელება -----

ხელის მოწერა -----